მკისა

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

N1 **10-11-2022**

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „გეოკროპ“-ის (ს/კ:405409311) მიერ დაგეგმილია ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნახიდურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 80.02.61.291; 80.02.61.290; 80.06.61.422; 80.06.61.658; 80.06.61.656; 80.06.61.655; 80.06.61.657) ჯამური ფართობით 977 700 მ² ნუშის მრავალწლიანი ნარგავების მოსარწყავად, სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

აღნიშნულ ნაკვეთებზე ნუშის ნარგავების განაშენიანების არსებული და საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი შეადგენს 840 000 მ2-ს (84 ჰა).

დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 1.3 ქვეპუნქტით (სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნახიდურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, ნუშის მრავალწლიანი ნარგავების მოსარწყავად, სამელიორაციო სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადებას და ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელ. ვერსია;

პატივისცემით,

შპს „გეოკროპ“-ის დირექტორი

გიორგი გაჩეჩილაძე

GEOCROP 405409311 GEORGIA, "GEOCROP" LLC

გარემოს ეროვნული სააგენტო
„15“ 11 2022
№ 6508

+995 599 26 26 82
office@mkisa.com
www.mkisa.com
@MkisaAgronomist